ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

განკარგულება:**გ-69. 69231843**

თარიღი:**03/07/2023**

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2023 წელს დამტკიცებულ 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებისა და სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის განხილვის შესახებ

განხილული იქნა რა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გადმოგზავნილი 2023 წელს დამტკიცებული 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებისა და სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვების შესაბამისობის აუდიტის ანგარიში

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე -2 პუნქტისა და 61 -ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. დაევალოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიას სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2023 წელს დამტკიცებული მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებისა და სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის შესახებ ასახული ხარვეზების აღმოსაფხვრელად, საკრებულოსთან კოორდინაციით გაატაროს სათანადო სამართლებრივი ღონისძიებები ანგარიშში მითითებული რეკომენდაციების შესასრულებლად და უზრუნველყოს აუდიტის შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრა, ხოლო გატარებული ღონისძიების შესახებ პერიოდულად წარმოუდგინოს ინფორმაცია მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

მუხლი 2. განკარგულების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიას, რომელმაც მერიის მიერ სახელმწიფო აუდიტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად გატარებული ღონისძიების შესახებ ინფორმაცია წარმოუდგინოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმდინარე წლის დეკემბრის თვეში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის

ქუჩა N 7).

დავით კიკნაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი